თავისუფალი საქართველო

№ 16

7 - 13 მაისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

შევარდნაძე ქადაგებს მშვიდობას და მხარს უჭერს ომს

პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მკვლელობა უძლიერესი დარტყმა გახლდათ როგორც ჩეჩნეთის, ასევე კავკასიის თავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ერისთვის. კავკასიას მოუკლეს გაერთიანებელი ლიდერი. ადამიანი, რომლის პოლიტიკური მრწამსი კავკასიური სახლის შექმნასთან იყო დაკავშირებული. ჯოჰარ დუდაევი კავკასიის დამორჩილებლობის სიმბოლოა და მკვლელთა მიზანიც სწორედ კავკასიის დამონება და დამორჩილება იყო.

დღეს საერთო კავკასიურ სახლს ე.შევარდნაძის სახით ახალი "ჭირისუფალი" ამოუჭრიდა. მისი ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი კავკასიური ეროობის რღვევისკენაა მიმართული. რუსების მიერ ჩეჩნეთში ჩადენილი ბარბაროსობის ღია ხარდაჭერა შევარდნაძის მხრიდან, ისტორიული დანაშაულია ქართველი ერის წინაშე. მისი ქმედება მით უფრო ამაზრწვილია. ...

...ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული ოსური ავტონომიის აღდგენის შესახებ.

გაილაღეს სომხებმაც. ჩვენს სახიფათოდ, თვითნებურად შეცვალეს საქართველო-სომხეთის სახღვარი და ამას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არაითარი რეაგირება არ მოჰყოლია. შევარდნაძის კავკასიურ ინიციატივას ყველაზე გულმხურვალედ სწორედ ოსეთისა და სომხეთის პრორუსულად განწყობილი მმართველები გამოეხმაურნენ, რაც გვიდასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ინიციატივის სათავე მოსკოვშია საძიებელი.

ამით შევარდნაძე, თითქმის უცვლელი სახით, ახორციელებს რუსეთის მრავალსაუკუნოვან პოლიტიკას - კავკასიის გაერთიანება მოახდინოს თავისი ტრადიციული მოკავშირეების გაძლიერებისა და მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ხარჯზე. მმართველი რეჟიმი ცდილობს, საქართველო მოსწყვიტოს საკუთარ ფესვებს, რის სანაცვლოდაც გვთავაზობს გაურკვეველ, აბსურდულ იდეას "ახალი, მშვიდობიანი კავკასიისა", რომელსაც განხორციელება არ უწერია. შევარდნაძის პოლიტიკა საფუძველშივე ეწინააღმდეგება მშვიდობის იდეას, რამეთუ აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის მიერ წარმოებულ ბარბაროსულ ომს კავკასიელი ძირძველი ერის მიმართ.

ეს ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩეჩნეს საველე მეთაურებმა ერთგულების ფიცი დადეს ქვეყნის ახალი პრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევის წინაშე. ზელიმხან იანდარბიევი ჩეჩნეთის ეროვნული მოძრაობის ოვალსაჩინო ლიდერია. იგი სათავეში ედგა ვაინახთა დემოკრატიულ პარტიას, ხელმძღვანელობდა ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნულ კონგრესს ჯოჰარ დუდაევის ჩეჩნეთში ჩამოსვლამდე. გროზნოს ბრძოლების დროს ჩეჩენი მებრძოლები პრეზიდენტის სასახლეს მისი უშუალო მეთაურობით იცავდნენ. ამ ბრძოლებში დაიღუპა ზელიმხან იანდარბიევის ძმა. გროზნოს დატოვების შემდეგ, ზელიმხან იანდარბიევი გამოსცემდა კანონიერი ხელისუფლების გაზეთს "იჩქერია". იგი ჩეჩნეთ-ინგუშეთში ცნობილია როგორც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის შეურიგებელი მებრძოლი, ანტიკომუნისტი. მას თვლიან ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ იდეოლოგად.

მართალია, ჯოჰარ დუდაევის მკვლელობის შემდეგ რუსებს ახალი იმედები გაუჩნდათ ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი ვარაუდი, რომ წინამძღოლის დაღუპვის შემთხვევაში ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობა დაიქსაქსებოდა და გატყდებოდა, არ გამართლდა. ბრძოლები ძველებური ინტენსივობით მიმდინარეობს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსები ჩეჩნეთის ვერც ერთ დასახლებულ პუნქტში, თვითონ გროზნოშიც კი, ვერ გრძნობენ თავს შშვიდად. ჩეჩენ პარტიზანთა მიერ წარმოებული ომის ბრძოლები უდიდეს ზიანს აყენებს ფედერალურ ჯარებს. მრავლისმეტყველია ისიც, რომ თვით "ხელისუფალი" დოკუ ზაგაევი ვერ ახერხებს მუდმივად გროზნოში მოღვაწეობას და მისი ხელისუფლება ფუნქციონირებს არა დედაქალაქში, არამედ რუსი ჯარისკაცებით გამაგრებულ აეროპორტში.

ჩეჩნეთი იბრძვის.

იქ საქართველოს ბედიც წყდება.

ნუგზარ წიკლაური

ნუგზარ მოლოდინაშვილი იგონებს შევარდნაძის საწინააღმდეგო ვაქცინას

და ამასთან დაკავშირებით, 3 აპრილის სასამართლო სხდომაზე მან გააკეთა ოფიციალური განცხადება

მე ვამბობ ყველას საყურადღებოდ: მას შემდეგ, რაც მე ...ანვაცხადე, რომ ჩემი სტრატეგიული ხაზი ამ საქმეში არის ...ევარდნაძისა და გამსახურდიას შეხვედრის, მათი მოლაპარაკების საკითხი, არსებული რეჟიმი ძალზე დაინტერესდა ... შემთხვევით. შესაძლოა, ცოტა ხანში ჩვენ ვნახოთ, რომ ... მოსწმე ყოველი მოწმე იტყვის, თუ როგორ იდგა ...დუარდ შევარდნაძე გზაჯვარედინზე და გამველელ-გამომველს ეხვეწებოდა - არიქა, გამსახურდიას შემახვედრეთო. ...რთხელ მან განაცხადა, რომ მუხლებზე დაჩოქილი ეხვწებოდა ჯარს, არ დატოვოთო აფხაზეთი. ახლა იქნებ ...ც გავიგოთ, თუ როგორ ითხოვდა იგი, მუხლებზე დაჩოქილი, ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას და ეროვნული ...ანმობის მიღწევას.

ნუთუ მის გარემოცვაში არ არის თუნდაც ერთი ადამიანი, ...ომელსაც იგი უყვარს, ასეთ დღეში რომ აგდებენ ამ კაცს?! ...უთუ არავის ეცოდება?! გადაეცით, რომ მე მეცოდება იგი. ...ქნებ "ჩამეთვალოს". ნუთუ მე უფრო მეტს უნდა ეზრუნავდე ...ს პოლიტიკურ რენომეზე, ვიდრე მისი გარემოცვა?!

ვაკეთებ კატეგორიულ განცხადებას - მე ძალიან დიდი ...ურადღებით გავეცანი საქმის 50-ვე ტომს და იქ არც ერთი ...ტყვა არ იყო ნათქვამი შევარდნაძისა და გამსახურდიას ...ეხვედრაზე. თუ ასეთი რამ იქ არის, ეს იმას ნიშნავს, ...რომ ჩვენება საქმეში შეცვლილია - ამოღებულია ფურცლები ...ა ხელახლაა ჩაკერებული შეცვლილი სახით. ამ რეჟიმის ...ორობებში, ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს.

ოფიციალურად ვაცხადებ არამარტო ამ სხდომის, არამედ ...საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, ყველა პატიოსანი ...ურნალისტის გასაგონად: მე, მართალია, პროფესიით ვეტექიმი ...ერ, მაგრამ ჩემი ვიწრო სპეციალობა არის მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია, ინფექციონიზმის განხრით. ჩემთვის კარგად არის ცნობილი კოხის, პასტერის, ბოტკინის და სხვა სახელოვან მეცნიერთა მიერ, კაცობრიობის გადარჩენის მიზნით, საკუთარ თავზე დაყენებული ექსპერიმენტები.

ასეთი მწვავე ექსპერიმენტი დაწყებული მაქვს 1996 წლის 1 თებერვლიდან. ამ ექსპერიმენტის მიზანია ვაქცინის გამოგონება ისეთი საშიში მოვლენის წინააღმდეგ, როგორსაც წარმოადგენს ქართველი ერისთვის ედუარდ შევარდნაძე.

ამის გამო, მჭირდება მყარი გარანტია. მე საქმე მაქვს პათოლოგიურ პიროვნებასთან. ამასთან, უნდა განვაცხადო: ვარ,რომ იტყვიან, კაუკაზიელი ჯანმრთელი. ამიტომ, უახლოესი 10 წლის მანძილზე შემთხვევითაც რომ დამეცეს აგური თავზე, აუცილებლად მოძებნონ კუთხეს ამოფარებული ედუარდ შევარდნაძე ან მისგან გამოგზავნილი პიროვნება. თანაც საფრთხე მხოლოდ მე არ მეშუქრება, არამედ ჩემს ახლობლებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც მიყვარს. მე უკვე დაინფიცირებული ვარ, ყოველგვარი კონტაქტი ჩემთან საშიშია.

ამის შემდეგ დაკითხულ მოწმე გაბისონიას ნუგზარ მოლოდინაშვილმა მხოლოდ ერთი კითხვით მიმართა: "მე მაინტერესებს გავიგო, ხომ არ უთხოვია თქვენთვის ედუარდ შევარდნაძეს, ზვიად გამსახურდიას შემახვედრეო?"

მოთმინებადაკარგულმა მოსამართლემ შეჰყვირა - "რატომ ამბობთ ამას, როგორ შეიძლება ამდენი შეურაცხყოფა?"

"იმიტომ, ბატონო ალეკო, - უპასუხა მოლოდინაშვილმა - რომ ბარტყმა ახლა ბუმბულები მოისხა და მტრედად გადაიქცა. მე კი გეუბნებით, არ გამოვა შევარდნაძისგან მშვიდობის მტრედი, არ გამოვა!"

შესაძლოა, ეს კითხვა დაგვიანებულიც კი იყოს, მაგრამ იმედი, რომელიც ჯერ კიდევ ებრძვის ჩვენში სასოწარკვეთას, ზოგჯერ მაინც გვაფიქრებინებს: იქნებ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული, იქნებ მხოლოდ მძიმე გზას ვადგავართ, რომლის შემდეგაც მივაღწევთ აღთქმულ მიწას. ჩვენ უკვე ვეზიარეთ უდაბნოში მიმავალი ერისთვის კუთვნილ ყველა განსაცდელს, ჩვენი ცხოვრება შეიცავს მოწამებრივი ცხოვრების ყველა კომპონენტს, გარდა ერთისა - არ გვყავს წინამძღვარი, რომელიც, შესაძლოა, სასტიკიც იყოს და არცთუ შეუცდომელი, მაგრამ უყვარს თავისი ხალხი. არ გვყავს რწმენა, არამედ მაცდური, რომლის ყოველი ნაბიჯი მომავალი დიდი უბედურების საწინდარია და გზა, რომლითაც მას მივყავართ ჩვენ ყველა - თვალხილულნიც და უზინონიც - კვლავ მონობის ხვედრს გვიმზადებს.

მაგრამ ამჯერად ეს დამონება განხორციელდება ჰუმანური იდეალებით, საკრო და მიკროეკონომიკური მოდელებით, საინვესტიციო პროექტებითა და საკრედიტო გადმორიცხვების კაბალური პროგრამებით აღჭურვილი მსოფლიო ფინანსური სისტემების მიერ, რომელიც, ვნეციელი მევახშის მსგავსად, ჯერ ხელს გაგიმართავს და შემდეგ ცოცხალი სხეულიდან აგაჭრის ხორცს, მუცლიდან ამოგაცლის მომავალ პირმშოს.

მაგალითები ამისა მრავლადაა. ჩვენზე დიდი და ჩვენზე მდიდარი ბრაზილია, ბუნებრივი ნაკრძალების და რესურსების ქვეყანა, სულ რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში გადაიქცა ჯოჯოხეთად, ახრიოკებული უდაბნოებითა და დამყაყებული ჭაობებით. იქიდან ყველაფერი გადის და უკან ბრუნდება მხოლოდ იმპორტული სუროგატის სახით, ისიც რამდენიმე ურბანიზებულ ცენტრში, რომლის ყველა სიკეთით სარგებლობის უფლება მხოლოდ საკუთარი ქვეყნით მოვაჭრეთა კლანს ეკუთვნის. თავად ამ ახალ ბაბილონებს გალავანივით არტყია ათასობით გაჩანაგებული სოფლიდან აყრილი ხალხის ფიცრული, ზოგჯერ მუყაოს ხუხულები. ამ ქვეყნის მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა სოფლები და პატარა ქალაქები მას შემდეგ, რაც ამაზონისპირა უნიკალური ტყეების გაჩეხვის, აშშ-ს, იაპონიისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების მიერ შექმნილი არაეკოლოგიური (და ამით მოგებიანი!) საწარმოების გაშენების, მიწების მასობრივი შესყიდვა-გაყიდვის, იმპორტის სასარგებლოდ, ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დაკნინების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა მეტი... ყველაფერი ძირითადად გადაუმუშავებელი, იაფად ღირებული ნედლეულის სახით; ხოლო შემოდის მზა, ძვირად ღირებული საქონელი - პირველადი მოხმარების საგნები, მსუბუქი მრეწველობისა და კვების პროდუქტები, "სნიკერსები", "მარსები"...

დღეს ეს ლატაკთა სახელმწიფო ძირითადად თავს ირჩენს წვრილმანი, არაშემოსავლიანი ვაჭრობითა და მცირეწლოვანთა ბიზნესით - ქურდობით. ესაა და ეს, რიოაც გაძარცვული ხალხი სამაგიეროს უხდის სატელიტ მშაოველობას, რომელიც თავის მხრივ, ფორმალურ მეთოდებთან ერთად, არაფორმალური მეთოდებით უსწორდება პატარა ბიზნესმენებს: კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისგან შემდგარი ათეულობით რაზმები, პოლიციის წაყრუებით, ლაღლამობით აწყობენ მომავალი თაობის მასობრივ დაჭერებს; შემდეგ ტყვეები გაჰყავთ ქალაქის განაპირა უბნებში და... ხვრეტენ, ძიებისა და სასამართლოს გარეშე.

ჩვენ კი არაფერი ვიცით ამ ბრაზილიის შესახებ. ჩვენ ვიცით სენტიმენტალური სერიალებისა და ფეხბურთის ბრაზილია, რომლიდანაც შავი პელე თეთრი კბილებით გვღიმის... ჩვენ, და არა თავისი ქვეყნის დასახვრეტად გაწირულ მომავალს.

* * *

ბევრი რამ, რაც იქ მოხდა, ჩვენთან უკვე ხდება. დანარჩენისთვის ნაადგამ ამზადებს ჩვენი შიშითა და უსასოობით გაოანგული, მდუმარებით ძალმოსილი ხელისუფლება. მაგრამ იმედი მაინც ებრძვის სასოწარკვეთას... არსებობს სხვა გზა, რომელზეც, შესაძლოა, გაჯირვებაც შეგვხვდეს, ბრძოლაც მოგვიხდეს და სიკვდილიც, მაგრამ არა მტრად მოჩენილი, გაზულექებული ჩვენივე მოძმისგან, რომელიც თავისი ხელით ხვრეტს ქვეყნის მომავალს...

რა ქვეყანა გველის წინ?!

ანა ჭავჭავაძე

რა ქვეყანა გველის წინ?!

გადრი ზარანდიამ შიმშილობა გამოაცხადა

1 მაისს ბადრი ზარანდიამ, რომელიც თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორის საერთო საკანში იმყოფება, ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების გამო (ამპუტირებული ფეხის ჭრილობიდან აქვს ჩირქოვანი გამონადენი და მაღალი ტემპერატურა), გამოაცხადა შიმშილობა. იგი მოითხოვს ცალკე საკანში გადაყვანას და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.

2 მაისიდან შიმშილობას შეუერთდნენ ბადრი ზარანდიას და სხვათა სასამართლო პროცესის განსასჯელები - ზვიად შერთოსია, გურგენ მალანია, კარლო ჯიჭონაია, მურმან გულუა, დათო ბენდელიანი.

ვინ დაიწყო სროლა 22 დეკემბერს?

2 მაისს სასამართლომ დაკითხა საჩხერისა და სახელმწიფო საბჭოს (როგორც თვითონ უწოდებდა, **დროებითი მთავრობის**) შს მინისტრი რომან გვენცაძე, რომელიც დაბარალებულად ითვლება 1992 წლის 11 აგვისტოს მისი მმეგელად აყვანის ფაქტის გამო. გვენცაძემ თავს არ უალაყატა და კვლავ აღიარა, რომ გამტაცებლები ჩინებულად ეპერობოდნენ. "დაბარალებული მთელი საქართველოაო" - დასძინა ყოფილმა მინისტრმა. მისი თქმით, ამ ინციდენტთან პრეზიდენტს კავშირი არ ჰქონია, ხალი თავდასხმის უშუალო შემსრულებელი გოჩა ბახია წლების მანძილზე შსს-ს ფანიანი და ნომრიანი აგენტი ყოფილა. ამ სენსაციურმა ცნობამ ბუნებრივად დაბადა კითხვა - რამდენი ასეთი ფანიანი და ნომრიანი აგენტი ჰყავდ შსს-ს ერთვნული ხელისუფლებისა და გვარდიის რიგებში?

შესაძლოა ამის გამო, ბრალდების მხარემ და მოსამართლემ დაკარგეს ინტერესი მისი ტყვეობის ინდივიდუალური ისტორიისადმი და გადაერთნენ დეკემბერ-იანვრის გადატრიალების პირველ ეპიზოდზე, ანუ დაიწყეს გარკვევა, ვინ დაიწყო სროლა 22-ში. გვენცაძის თქმით, იგი გაედა გარეთ მას შემდეგ, რაც ლეტე არწყაძე შემოვიდა შტაბში და უყვირა (თუმცა, არავითარი ბრძანება არ გაუცია - განმარტა გვენცაძემ) - ნახეთ, რა ხდება გარეთ. გზა გადაკეტილი. გვენცაძემ ჯერ 30 კაცი გაგზავნა, რომლებმაც მოახსენეს, გზა არავის გადაუკეტიაო, შემდეგ კი თავად გაედა ბოხტების დასაყენებლად. ამ დროს უზენაესი საბჭოს კიბეებზე ჩამოვიდა ლითი ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი 70-ოდე კაცი (და არა თავად ქობალია!), რომლებმაც გაისროლეს ასფალტზე და ბაერში - "ალბათ, ოპოზიცია რომ გაქცეულიყო" - დასძინა გვენცაძემ.

ქობალიას ადვოკატს გაუწყნდ ლოგიკური კითხვა: ის 30 კაციც, რომლებმაც ვერ შეამწიეს ოპოზიციის ბიეტი, შსს-ს ფანიანი აგენტები ხომ არ იყვნენ? ვინაიდან იმავე დროისთვის შეჭედანი ახალგაზრდების მიერ გზის გადაკეტვის ფაქტს ასევე ადასტურებს დაბარალებული თამარ მარაბოლიძე.

მოსამართლემ აცნობა მოწმეს, რომ ნუგზარ მოლოდინაშვილის ჩვენების თანახმად, ხროლის მიმენტში რომან გვენცაძე მასთან ერთად იყო შენობაში. "ამა, სად დავიჭერი?" - იკითხა დაბარალებულმა, ხოლო მოლოდინაშვილმა უფრო დეტალურად გაახსენა: -"რომან, ქარგად გაიხსენეთ. აქ ლაბარაკია არა საარტილერიო კონონადაზე, არამედ ეპიზოდურ ხროლებზე. მე ვიტყვი, რომ ოდესაც ხროლა გაისმა, გვენცაძე მაშინ გავიდა კომენდატურიდან-თქო. მანამდე შემოვიდა აღელვებული ხალხი. თქვეს, რეცხილაძე და ვამაძე დაიჭირეთ, გზა არითო გადაკეტილი. თქვენ გახედეთ, მერე მობრუნდით და თქვეთ, არავინ არითო. ამა, ვინ დააკავა რეცხილაძე და ვამაძე? ამის მერე იყო ხროლა..."

"- ასეთი ხროლები რამდენიც გინდა იყო..." - უპასუხა გვენცაძემ და უნებლიეთ თქვა ის, რაც იცის ყველამ: რომ ამ ვითომ "პირველ" გასროლას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა - ხელისუფლების დამხობა რა ხანია გადწყვეტილი იყო.

გვენცაძეს არაფერი ხვოდნია მისი მინისტრობის პერიოდში მიტინგების დროს დახვრეტილებზე. პატიმარია წაჩებაზე, ყარელის მილიციაში ეჯერ გოგჩასის ტკბილობაზე. რამდენჯერმე ისიც წამოსდგა, გამახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ შემდეგ "ერი გაიხლიჩა და მის გაერთიანებას ეკვლილობდიო", რაზეც მოლოდინაშვილმა კვლავ შეახსენა: "შენ გამახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერი კი არა, მისი მთავრობის წარმომადგენელი იყავი. ისიც იცოდე, ერი არ გახლეჩილა, უბრალოდ ზოგიერთმა უპატიოსნო და უპასუხისმგებელი პიროვნებამ უღალატა კანონსა და კონსტიტუციას."

"უზენაეს სასამართლოში კიდევ ერთი ტენდენციური პროცესი ჩატარდება"

როგორც ვიცით, დასრულდა გამოძიება 29 აგვისტოს ცნობილ ტერაქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულ პირთა მიმართ. პოლიტპატიმრებს საბოლოო ბრალიც წაუყენეს და ზოგიერთ მათგანს საქმის გაცნობის შესაძლებლობაც კი მისცეს. როგორც გაირკვა, თაღდებში გამოშვებულ ზურან ვარდოსანიძისა და გულის მსმე დაკავების გამო კარდიოლოგიურ ინსტიტუტში საკურნალოდ გადაყვანილ თამაზ ელაშვილის მიმართ საქმე გამოყოს. გამოძიებას დაუდგენია, რომ ზურან ვარდოსანიძე საქმეში მონაწილე დანარჩენ პოლიტპატიმრებთან დანაშაულებრივ კავშირში არ შეიმჩნეოდა. ხოლო თამაზ ელაშვილის მიმართ საქმის გამოყოფის საფუძველი კი მისი ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობაა.

ჩვენ გავგებულებით ამ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი ბრალდებულის - გიორგი ონიაშვილის დაბეკელ - ადვოკატ ქეთევან ბეჭაურს. დანარჩენი ბრალდებულების მსგავსად, მისი დაცვის ქვეშ მყოფსაც ბრალი ედება საშობლოს ღალატში (სსკ 65-ე მუხლი), სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობის მცდელობაში (სსკ 17-67-ე მუხლის მეოთხე ნაწილი) და უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნასა და მასში მონაწილეობაში (სსკ 73-ე მუხლის მეორე ნაწილი).

როგორც გვაცნობა ქ-ნმა ქეთევანმა, მაისის ბოლოს გადის ბრალდებულია სამატიმრო ვადა - საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული. ცხრა თვე და, ალბათ, ამას უნდა ეუსაფლოდეთ გამოძიების დასრულებას მიუხედავად იმისა,რომ ძიებამ კონკრეტული მტკიცებულებები დაპატიმრებულია მისართ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოიპოვა.

"არანაირი მტკიცებულება საქმეში არ დგას, ბრალდებები არის ზოგადი. კეკეტრიბ, კიდევ ერთი ტენდენციური პროცესი ჩატარდება უზენაეს სასამართლოში".- განაცხადა ქ-ნმა ქბეჭაურმა.

საქმე ხანი ტოლსგან შედგება და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსად არ არის ადასტურული, თუ კონკრეტულად რომელი სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობის მცდელობაში ეყდებთ ბრალი "შეიარაღებული ორგანიზაციის წევრებს": გელაშვილს, ონიაშვილს, მჭედლიშვილს, რატიანს, ფალეს და სხვებს.

და კიდევ ერთი დეტალი. ძიება ყალდებულია ყველა ღონე იხმაროს, რათა არ გაჭიანურდეს საქმის მასალების ადვოკატებისა და ბრალდებულთათვის გაცნობის პროცესი, რომ საქმე განსახილველად დროულად გადაეცეს სასამართლოს. ტყვად საეჭვოა, უშიშროების სამსახურის გამოძიებლებს დღად აღელვებდეს ეს ამბავი - ძიება ამრიგად შეა რიცხვებში დასრულდა და საქმეს ჯერჯერობით მხოლოდ ადვოკატი ბეჭაური და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ეცნობიან. ასის მიზეზი კი ის არის, რომ უშიშროების სამსახურს აღნიშნული საქმის სამი ტომის ერთადერთი ეგზემპლარი აქვს და, ამდენად, შეუძლებელი ყოფილა მას სხვა დაბეკელები ან პოლიტპატიმრები გაეცნონ.

ასეთ პირობებში ძნელია პროგნოზირება, თუ როდის გადაეცემა საქმე უზენაეს სასამართლოს განსახილველად. ამდენ გვიანს, გამოძიება მაინც ძიერიდგება ცხრათვიანი სამატიმრო ვადის დარღვევის, რომელიც დღეს, რატომღაც, ასე აშფოთებს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს.

ი. დგებუაძე

უზენაესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში ვითარება იძაბება, პოლიტპატიმართა მიმართ ზომები მკაცრდება. სულ უფრო ნათლად ჩანს, რომ ვიღაცის უხილავი ხელი, თუმც ძნელი მისახვედრი არ არის ვისი, აქტიურად ერევა სამსჯავრო ძიებაში და რეაგირებს, ზოგჯერ არაადეკვატურადაც კი, ყოველ პრინციპულად დასმულ საკითხზე. ეს ვითარება მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ საქართველოში სასამართლო ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ არსებობს და იგი მხოლოდ შურისგების იარაღია ძალის უფალთა ხელში

სასამართლო პროცესზე ვითარება იძაბება

განსასჯელემა ზურბი შეაქციეს სასამართლოს

უზენაესი სასამართლოს საქმეში საშინელი ატმოსფეროა და ამიტომ, განსასჯელები - ლითი ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა, ზვიად ძიძიგური და რუგზარ მოლოდინაშვილი სასამართლო დარბაზში სადილობდნენ და აქვე ესაუბრებოდნენ თავიანთ ადვოკატებს. 1 მაისს, სასამართლო სხდომაზე შესვენების დროს, ისინი მოულოდნელად ჩაიკეტნენ შენობის სარდაფში მდებარე საკნებში, სადაც მაგიდაც კი არ არის და საშინელი სიბინძურეა. განსასჯელებმა უარი განაცხადეს სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე და შესთავაზეს მოსამართლეს, განეხილა ეს საკითხი მათი და ადვოკატების თანდასწრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ ამოვიდოდნენ სხდომათა დარბაზში.

ალადაშვილი შეჰპირდა განსასჯელებს მათი მოთხოვნების შესრულებას, მაგრამ რიცა ისინი დარბაზში დაიგულა, მოულოდნელად გასხნა სხდომა. პროტესტის ნიშნად, განსასჯელებმა ზურგი შეაქციეს სასამართლო კოლეგიას.

ალადაშვილმა აცნო სასოგადოებას, რომ აქამდე მხოლოდ მისი ოხოვნით, გამოიკვლიოს სახით, ინდეეოდა განაწესი, რომლის თანახმად, განსასჯელები საკნებში უნდა სადილობდნენ, მაგრამ ახლა იგი ვერ აღუდგება საბადრაგო საქმიანობის უფროსს, კკარაცხელიას კატეგორიულ მოთხოვნას, დაცული იყოს კანონი. თუმცა იქვე შესთავაზა ბადრაგის უფროსს კვლავ დაეფდეა კანონი და, საკნების მოწესრიგებამდე. პატიმრები ჩაეკეტა ბადრაგის ოთახში. "მე ამას ვერ გავაკეთებ, ეს ჯარისკაცების დასასვენებელი ოთახია და იქ იარაღია." - მუშეს მან პასუხად.

მოსამართლემ მონახა გამოსავალი - დაკავშირებოდნენ ბატალიონის უფროსს და ეთხოვათ მისთვის, ამ ერთი დღით დაეშვა გამოკვლისი, მანამდე კი გაეგრძელებინათ სხდომა. "თავი დაანებეთ კკარაცხელიას, აკრძალვა შეკარდნასგან მოდის." - განაცხადა ნუგზარ მოლოდინაშვილმა.

განსასჯელებმა უარი თქვეს სხდომაში მონაწილეობაზე "საკითხის გარკვევამდე. მიუხედავად ამისა, ალადაშვილმა არ გამოაცხადა შესვენება და თითქმის ერთი საათი მთელი დარბაზი ელოდა გადწყვეტილებას, ცხადია, არა კკარაცხელიასგან, არამედ უფრო ზემოდან...

სასამართლო დგება განსასჯელებსა და ადვოკატებს შორის

ადვოკატები იცავენ განსასჯელებს და, როგორც ჩანს, ეს მოსამართლე ალადაშვილის გაოცებას იწვევს. როდესაც განსასჯელებმა უარი თქვეს პროცესში მონაწილეობაზე, ჯამბულ ბოკუჩავას ადვოკატმა, მარინე ალანიამ, სასამართლო კოლეგიის წინაშე გააკეთა განცხადება, რომ თუ იგი მიიღებს მონაწილეობას პროცესში, წინააღმდეგობაში აღმოჩნდება თავისი დაცვის ქვეშ მყოფთან, რაზეც ალადაშვილმა მუეთითა - "თქვენ არა გაქვთ იმის უფლება, რისი უფლებაც განსასჯელს აქვს". ამ მეტად საგულისხმო რეპლიკით მოსამართლემ, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ დააყენა ადვოკატის მოვალეობა დაიცვას განსასჯელი. ალანიამ შეამდგომლობის სახით დასვა საკითხი და მოითხოვა მასზე კოლეგიის გადწყვეტილების მიღება. თავის მხრივ, ჯამბულ ბოკუჩავამ სასწრაფოდ შეახსენა ალადაშვილს კიდევ ერთი უფლების შესახებ - "თუ ჩემი ადვოკატი მიიღებს მონაწილეობას პროცესში, მე მას აცილებას მივცემო".

ნუგზარ მოლოდინაშვილის სასოგადოებრივი დამცველის, ლია ბერუშვილის აზრით, ეს გამკაცრება ისახავს ერთადერთ მიზანს - მაქსიმალურად შესცდეთ განსასჯელების დამცველებთან ურთიერთობის დრო. "ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, შევხვდეთ განსასჯელებს იზოლატორში. მხოლოდ აქ, ერთსაათიანი შესვენების დროს შეგვეძლო დაცვის პოზიციებზე საუბარი და ახლა ეს დროც გვეზღუდება" - განუცხადა მან სასამართლოს.

მაგრამ ისტორია ამით არ დამთავრებულა...

მოსამართლეს სთხოვენ დაიცვას სასამართლოს უფლებები

...ისტორია გაგრძელდა. 2 მაისის სხდომაზე ზვიად ძიძიგურმა და ჯამბულ ბოკუჩავამ გააკეთეს ოფიციალური განცხადება:

"გუშინდელი სხდომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ მიგვყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც არ მიგვიყვეს და პირდაპირ გადგვიყვანეს №1 საგამოძიებელი იზოლატორში. ასე რომ, ჩვენი პირადი ნივთები, სასამართლოსთვის განკუთვნილი საბუთები, დოკუმენტები - ყველაფერი დარჩა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. №1 იზოლატორში ჩვენ ნაგვსვეს საერთო რეჟიმის საკანში, სადაც არ არის არავითარი პირობები, რათა ვიმუშაოთ საქმის მასალებზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი გადაყვანა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან №1 იზოლატორში არის პასუხი ჩვენს გუშინდელ პროტესტზე.

მოსამართლე ალადაშვილს ვთავაზობთ, უზრუნველყოს განსასჯელები - ჯამბულ ბოკუჩავა და ზვიად ძიძიგური მუშაობისთვის შესაბამისი პირობებით. აგრეთვე მოვითხოვთ, ჩვენი ადვოკატების თანდასწრებით შევიდეთ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პირადი ნივთების წამოსაღებად...

ჯამბულ ბოკუჩავამ ამცნო მოსამართლეს, რომ მის ხელი არსებული ინფორმაციის თანახმად, ისინი არ შეუშვეს საავადმყოფოში შინაგან საქმეთა მინისტრის, კახა თარგამაძის პირადი მითითებით, რომელმაც დარეკა საავადმყოფოში.

"ნათელია, რომ იქ ახლა იქექებიან ჩვენს ნივთებში და საბუთებში. მე მიკვირს, რომ ყველაფერი კეთდება სასამართლოს და პირადად თქვენი გვერდის აყვანით და ეს პირველად არ ხდება." - მიუთითა მან ალადაშვილს. ხოლო ზვიად ძიძიგურმა ასეთი მოწოდებით მიმართა მოსამართლეს: "გთხოვთ დაიცვათ სასამართლო ხელისუფლების უფლებები, თქვენი ნებართვის გარეშე, არავის აქვს უფლება ხან იქით გადაგიყვანოს, ხან აქეთ."

საპყრობილეში მყოფი პოლიტპატიმრების მდგომარეობა კრიტიკულია

როგორც ვიცით, 1993 წლის 10 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, მოსამართლე იური ტყემეშაშვილის თავმჯდომარეობით, განაჩენი გამოუტანა "ყარელის საქმის" მონაწილე პოლიტპატიმრებს. ეს იყო პირველი დიდი პოლიტიკური პროცესი-ანგარიშწორება "ზვიადისტების" მიმართ და, ამდენად, მასში მონაწილე "ყარელის ბიჭებმა" პირველებმა იწვნიეს პოლიტპატიმრების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მთელი სიმძიმე. ამ საქმეზე მსჯავრდებულთა უმრავლესობას 10-12 წლით პატიმრობა მუსაჯეს, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

1993 წლის 2 დეკემბერს "ყარელის საქმეზე" მსჯავრდებული პოლიტპატიმრების დიდი ნაწილი გადაყვანეს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, რომელიც ცნობილია აუტანელი ყოფითი პირობებითა და მძიმე ატმოსფეროთი. თანახმად საბჭოური გულაგების დაუწერელი კანონებისა, კოლონიის იმყამინდელმა უფროსმა ნაწილ მსჯავრდებულები გადაყვანისთანავე ბურში (კარცერის ტიპის საკნები) მოათავსა: "მაღალი სასჯელი გაქვთ, თქვენ კოლონიაში გაშვება შეუძლებელია, რადგან გაიქცევითო".

საბჭოური პენიტენციარული სისტემისა და არსებული რეჟიმის ერთგულმა კოლონიის ადმინისტრაციამ, როგორც ჩანს, უაქტობრივი ხელისუფლების მესვეურთა გულის მოსაგებად, 1994 წლის 5 იანვრიდან პოლიტპატიმრებს შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება და გადაუკეტა წყალი. ამგვარი ქმედება კოლონიის უფროსობის მხრიდან გრძელდებოდა მანამ, სანამ არ გამოინახა ყველასთვის მისაღები გამოსავალი - გადწყდა არასასურველი პოლიტიკური ოპონენტების საჭერნილეში გადაყვანა "გეორგის გათხრისა და კოლონიიდან გაქცევის მცდელობისთვის".

1994 წლის 11 თებერვალს ქსანში მოთავსებული პოლიტპატიმარი მსჯავრდებულები ხელმეორედ "გაასამართლა" მოსამართლე კერვალიძემ და მიუსაჯა მათ 1-დან 3 წლამდე სასჯელის მოხდა საჭერობილეში. მიუხედავად მსჯავრდებულია დაკანონებული მოთხოვნისა, სასამართლო ტრადიციულად, ადვოკატის გარეშე მიმდინარეობდა. 21 თებერვალს "ყარელის ბიჭები" თბილისის საპყრობილეში გადმოიყვანეს.

როგორც შევიტყვეთ, მსჯავრდებულ პოლიტპატიმარია ქსნის კოლონიაში ყოფნის დროს საპყრობილეში 80-ზე მეტი პატიმარი იქნა გადმოყვანილი.

საპყრობილეში მოთავსებული ერთერთი პატიმარი აღწერს:"ხონის უფროსი ჩაწა და მისი მოადგილეები - ალექსანდრე და ავთანდილ ექსუშაყრაშვილები ქართველი პატიმრებისგან 100 ათას რუბლს, ხოლო აჭარლებისგან და არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენლებისგან კი - 100 დოლარს ან 150 ათას რუბლს მოთხოვდნენ იმისთვის, რომ ისინი საპყრობილეში არ გადაეგზავნათ... დღეს №11 დახურული ციხე არის ტუბერკულოზის და სხვა დაავადებების ბუდე, მიუხედავად ადმინისტრაციის მცირეოდენი მცდელობისა, პატიმრები გარეცდით შიმშილს... უბერო, ჩაკეტილი სისტემა ყველანაირი ავადმყოფობის ბუდეა. 1993 წლის დეკემბრიდან 1994 წლის მაისამდე ქსნის მკაცრი რეჟიმის ზონამ 150-ზე მეტი პატიმარი გადმოაგზავნა საპყრობილეში. ქსნის კოლონიას არ ეძლევა რუსეთის №1 და №3 გამლიერებული რეჟიმის კოლონიები... მაგრამ ქსნის კოლონია, უკანონობისა და გარეკეთილობის მხრივ, პირველობს... დღეს დახურული ციხიდან დაღწევის ისეთი საშუალება არსებობს, რიგორიცაა ზეკანაციის წესით გასაფრენება, მაგრამ ზეკანაციით ყოველი წლის მიხსნას, 300-დან 500 დოლარამდე სჭირდება; გაანია, ვინ აკეთებს საქმეს..."

დღესდღეობით თბილისის საპყრობილეში სასჯელს იხდიან "ყარელის საქმის" მონაწილე ლერი დონაძე, გელა გაჩენლაძე, ეშარ კობაიძე და დავით ლოლაძე. მათ კიდევ 10 თვის განმავლობაში მოუხდებათ ამ გაუსაძლის პირობებში ყოფნა. დანარჩენი მსჯავრდებულები, რომელთაც 3 წელიწადზე ნაკლები ჰქონდათ მისჯილი, გადაყვანეს ქსნისა და ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიებში. როგორც შევიტყვეთ, გელა გაჩენლაძისა და ეშარ კობაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძმიმეა. გაჩენლაძეს ტუბერკულოზის სიმპტომები გაუჩენიათდა, შიშველობის საპროტესტო აქციებისა და გასული წლის შემოდგომაზე საპყრობილის თანამშრომლების მიერ ცემა-ხეწოლის შედეგად. ეშარ კობაიძემ 1995 წლის ივნისში გადატანა პლეურიტი, მას ჩაეკეტა მარჯვენა ფილტვი, დაუავადდა ღვიძლი და ნაწლის ბუშტი. თუ დავამატებთ, რომ საპყრობილეში, უაქტობრივად, არ არსებობს არც ელემენტარული სამედიცინო მომსახურეობა და არც მედიკამენტები, ნათელი გახდება, რომ პოლიტპატიმართა მდგომარეობა დღესდღეობით კრიტიკულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა 26 მაისს. ამ პერიოდში საქართველო არც სტიქიას დაუნდვია, მაგრამ საარჩევნო კამპანია მაინც მობილიზებულად მიდიოდა და, თავის მხრივაც, არ შეუშლია ხელი სტიქიით დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოებისთვის. ეს კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება გაუმკლავდეს სიძნელეებს მუშტად შეკრული ერი, თუ მას ეროვნული ხელისუფლება ჰყავს.

რეფერენდუმი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ

1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული იყო სრულიად საკავშირო რეფერენდუმი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ. მოელმა ზამთარმა, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ გაიარა, რაია როგორმე იძულებული გაეხადათ საქართველო, მონაწილეობა მიეღო 17 მარტის რეფერენდუმში. ამ დროს შედგა ის ცნობილი სატელევიზიო საუბარი ზვიად გამსახურდიასა და გორბაჩოვს შორის. მაშინ გორბაჩოვმა დელიკატურად მიანიშნა, რომ თუ ჩვენი ხელისუფლება არ დათმობდა პოზიციებს, საქართველოს შეექმნებოდა პრობლემები საჰაბლიში, აფხაზეთსა და სხვა რეგიონებში. ამის შემდეგ შედგა ასევე ცნობილი სატელევიზიო საუბარი გამსახურდიასი შევარდნაძესთან. მე პირველი არა ვარ, ვინც ამას აცხადებს. ეს ის პერიოდია, როდესაც უაღრესად გამწვავდა სიტუაცია საქაჩაღლოში. ზვიად გამსახურდიას თხოვნა იყო, რომ შევარდნაძეს, როგორც თანამემამულეს, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რაია დახმარებოდა საქმობლოს. შევარდნაძის პასუხი, ჩემის აზრით, იყო ცინიკური - მე ხნიერი კაცი ვარ, პენსიაზე გამირეგ გასვლას და მიმართეთ გორბაჩოვსო.

ყაზბეგის შეხვედრა

სამაგიეროდ, ქალაქ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების მიზნით, 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ერთიანეთის შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის უსენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უსენაესი საბჭოს თავმჯომარე ზვიად გამსახურდია.

აი, ასეთი იყო ჩვენი იზოლაციონისტური პოლიტიკა...

ამ შეხვედრის დროს დაიგეგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იყო გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და შედგა მოლაპარაკების ოქმი, რომელშიც ნათქვამია: სსრკ-ს თავდაცვის სამინისტროს მიეცეს წინადადება, საშრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაიყვანოს აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოებმა დაიწყონ მუშაობა, რომ ლტოლვილებს შეექმნათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაუფლებლივ დაბრუნების საშუალება და სხვა.

პოლიტიკურად ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საწუხაროდ, აქ დასახულ გეგმებს შემდგომში განხორციელება არ ეწერა.

ჩვენი რეფერენდუმი

საქართველოს, რასაკვირველია, არ მიუღია მონაწილეობა 17 მარტის რეფერენდუმში. დაიგეგმა 31 მარტის რეფერენდუმი. ამის საფუძველს იძლეოდა 1991 წლის 29 იანვარს მიღებული კანონი რეფერენდუმის შესახებ. 1991 წლის 31 მარტს ეროვნული ხელისუფლებისა და, რასაკვირველია, ზვიად გასახურდიას მეცადინეობითა და ძალისხმევით, საქართველოში ჩატარდა საერთო-სახალხო რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე? სასიხარულოდ და, შეიძლება ითქვას, ოდნავ გასაოცრადაც, რეფერენდუმის შედეგებმა დადასტურა, რომ მიუხედავად იმპერიული ძალისხმევისა, 200 წლის მანძილზე ქართველი ერი ვერ გატეხეს სულიერად

დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებმა საშუალება მისცა უსენაეს საბჭოს, 1991 წლის 9 აპრილს მიეღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია. მე ამ აქტზე ხელი მაქვს მოწერილი. ეს ორი უმნიშვნელოვანესი საეტაპო დღე საქართველოს ისტორიაში შემდგომში გახდა ერთადერთი იურიდიული საფუძველი საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებისა და მისი იურიდიული აღიარებისა სხვა ქვეყნების მიერ.

პრეფექტის ინსტიტუტი

პარალელურად, ჯერ კიდევ 1991 წლის 29 იანვარს, მიღებულ იქნა კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების არჩევის შესახებ. ამავე პერიოდში მიღებულ იქნა დებულება და კანონი რაიონებში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეფექტის ინსტიტუტის შემოღების შესახებ. ეროვნული ხელისუფლება თვლიდა, რომ გარდამავალ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლება უნდა ყოფილიყო ძლიერი და ქმნიდა მმართველობის ცენტრალიზებულ სტრუქტურას, ამიტომ პრეფექტის თანამდებობა უნდა ყოფილიყო დანიშვნითი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ზვიადი არ იყო ვალდებული ვინმესთან შეეთანხმებინა პრეფექტის კანდიდატურა, ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, მან ტელევიზიით ასე მიმართა ქართველ ხალხს - ამ ადგილზე დანიშნებიან მხოლოდ თქვენთვის სასურველი პირები, ვისაც თქვენ გამოუცხადებთ ნდობას. შესაძლოა, ეს გულუბრყვილოდაც ჩანდეს, მაგრამ ახლა რომ კუკვირდები, ეს აუცილებელი იყო. ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, მას ისედაც არ დაჰკლებია ბრალდება დიქტატორობის მცდელობაში.

პრეზიდენტის ინსტიტუტი

1991 წლის 9 აპრილსვე უსენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე და უარული კენჭისყრით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია. აქაც შეეძლო მას მიებაძა გორბაჩოვის, ნაზარბაევისა და სხვებისთვის და, სრულიად კანონიერად, ამ სტატუსით გაეგრძელებინა მოღვაწეობა, მაგრამ მან (და მხოლოდ მან) პირადი ინიციატივით და ავტორიტეტით, მიაღებინა უსენაეს საბჭოს დადგენილება საქართველოში პრეზიდენტის საერთო-სახალხო წესით არჩევის შესახებ. არჩევნების დღედ დაინიშნა 26 მაისი.

ამ პერიოდში საქართველო არც სტიქიას დაუნდვია (დამანგრეველი მიწისძვრა რაჭა-ზემო იმერეთში, დიდი მეწყერი აჭარაში, რომელმაც სამი სოფელი შეიწირა), მაგრამ საარჩევნო კამპანია მაინც მობილიზებულად მიდიოდა და, თავის მხრივაც, არ შეუშლია ხელი სტიქიით დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოებისთვის. ეს კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება გაუმკლავდეს სიძნელეებს მუშტად შეკრული ერი, თუ მას ეროვნული ხელისუფლება ჰყავს.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა პრეზიდენტო არჩევნები. ამ მარათონში უამრავი მოსურნე ლებულობდა მონაწილეობას, ზოგიერთი მეტად უცნაური მოტივით. მაგალითად, თამაზ კვაჭანტირაძე იმიტომ იღებდა მონაწილეობას, რომ შემდგომ გაეუქმებინა პრეზიდენტის ინსტიტუტი. ანალოგიური აზრი ჰქონდა ბ-ნ ნოდარ ნათაძეს. მაგრამ თუ ნათაძე პრინციპული მოწინააღმდეგე დარჩა პრეზიდენტის ინსტიტუტისა, კვაჭანტირაძე სხვა საპრეზიდენტო არჩევნებში ძმეენიერი დიფირამბები მიუძღვნა ამ ინსტიტუტს. მაშინ არ შეიძლებოდა - ახლა შეიძლება.

შიდა დაპირისპირება

ეს ძირითადად ის პერიოდია, როდესაც გამარჯვებული "მრგვალი მაგიდის" ბლოკი, გარედან უამრავი მცდელობის მიუხედავად, ახერხებს მიზანდასახულ ერთიანლივ მოქმედებას ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

მაშინ მე ვფიქრობდი, რომ თუ ხელისუფლებაში მოსვლამდე ბლოკის გაერთიანების პრინციპი იყო ოპტიმალური, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იგი გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნიდა. ბლოკში შემავალ პარტიებს შორის არ არსებობდა პოზიციათა კონცეპტუალური სხვაობა. მხოლოდ ტრადიციონალისტთა კავშირს ჰქონდა პუნქტი - ეღვაწა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენისთვის. ეს მაძლევდა საფუძველს, შემეთანხმებინა პარტიათა ლიდერებისთვის ერთ პარტიად გაერთიანების იდეა.

პირველ ყოვლისა, ელაპარაკე ზვიად გამსახურდიას. ჩემმა პოზიციამ მისგან სრული მხარდაჭერა ჰპოვა. მან აღნიშნა, რომ ეს მისი ოცნება იყო. ამის შერე იგივე წინადადებით მივმართე აკაკი ასათიანს. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ენთუზიაზმით დამეთანხმა, მაგრამ არც წინააღმდეგობა გამოუჩენია. პირველი, ვინც სასტიკად შეეწინააღმდეგა ამ იდეას, იყო ვაჟა ადამია. მან, ფაქტობრივად, ჩაშალა ეს გაერთიანება.

აქედან იწყება ჩემი პირადი უთანხმოებები მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან, უფრო სწორად, მათი პირადი უთანხმოებები ჩემთან. მე ასე ვთვლი, - თუ კეკდები, უფალმა შემინდოს - რომ თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობამ გარკვეული დაღი დასცა ვაჟა ადამიას პიროვნული სასიათის ზოგიერთ თვისებას, რაც მანამდე არ ჩანდა. კერძოდ, მის მომეტებულ ეჭვიანობას, კონფლიქტურ ბუნებას, სიჯიუტეს, მოუზომლობას, ტაქტის ნაკლებობას. მე მინდა დავაზუსტო, რომ ვაჟა ადამიაზე იმოქმედა არა მისმა მაღალმა თანამდებობამ, არამედ იმ საკურაციო სფეროს სპეციფიკამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა - უშიშროების სამსახურმა. რაღაც პერიოდში დევნის მანიაც კი დასჩემდა და დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტი მოსაკლავად დასდევდა (სიცილი დარბაზში). ეს არ არის სასაცილო - მას დღესაც ასე სჯერა.

ასეა... ჩვენი საქმიანობა აღმშენებლობისკენ იყო მიმართული, ხოლო ჩვენი პოლიტიკური მტრებისა და მოწინააღმდეგეებისა - "მრგვალ მაგიდაში" ბზარების გაჩენისკენ, თითოეული ოდნავ მნიშვნელოვანი წევრის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და მათი სისუსტეების შესწავლისკენ, რათა შემდგომ ეს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოეყენებინათ. სიძნელეების მიუხედავად, პრეზიდენტი მთელი ძალისხმევით ცდილობდა ამ ბზარების გამთელებას. მან ერთხელ მითხრა:

- ნუგზარ, მერაბს ჩემთვის პატარა გოშია რომ დაეტოვებინა თავის სახელზე, იმას მოკუნტლიდი. აქ კი საუბარია ადამიანზე, რომელიც ჩვენს (ორივეს) ხელში გაიზარდა და იქნებ რაიმე მოახერხო, რომ ხალხში მაინც ერიდოს სკანდალებს.

მე, საწუხაროდ, ვერაფერი მოვახერხე.

ჩვენს ხელისუფლებას ორივე ფეხი ქუჩაში ჰქონდა

უსნაესი საბჭოსა და კერძოდ იმ კომისიის, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, მუშაობის სტილი და ტემპი ძალიან დაძაბული იყო. თითქმის ყოველდღე მიხდებოდა 60-70 კაცის მიღება. ჩემდა საუბედუროდ, ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ კომისიის სახელწოდებაში ორჯერ იხსენიებოდა სიტყვა "კანონი" და უკანონობით შეწუხებული მოსახლეობა თვლიდა, რომ საშველად ჩვენთვის უნდა მოემართა. ერთმა ჩემმა მეგობარმა ხუმრობით მითხრა - თბილისის რკინიგზის სადგურს დაამგავსეთო უსენაესი საბჭო. ელდარ შენგელაიასაც აქვს ნათქვამი დეკემბრის მოვლენების წინ - ამ ხელისუფლებას ცალი ფეხი ქუჩაში აქვს და ცალი კაბინეტშიო. მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ხელისუფლებას ორივე ფეხი ქუჩაში ჰქონდა და, საერთოდ, არასოდეს მოსწყვეტია ხალხს.

სასამართლომ დაიწყო დაზარალებულთა დაკითხვა

სასამართლოს წინაშე პირველი წარდგა ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის დედა, ქნი ლია ბოლქვაძე. მისი ემოციური ჩვენება შეიცავდა დედის ტკივილს შვილის დაღუპვის გამო, მაგრამ, თავად სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით, ეურჯნობოდა მხოლოდ სხვათა მონათხრობს. ნიშანდობლივია, რომ ინფორმაცია ამის შესახებ, თითქოს დავით ბოლქვაძე მოკლა სწორედ ლოთი ქობალიამ, მას მიაწოდეს ცხედრის ჩამოსვენების დროს. დაზარალებულის თქმით, მისი შეუღლე და ძმები ხობში ჩასვლისას ესაუბრნენ მკვლელობის თვითმხილველებს. თუმცა ამას, ალბათ, ვერ დაადასტურებენ, ვინაიდან თვითმხილველები დაშინებულები არიან - ამბობდნენ, ქობალია მობრუნდება და სახლ-კარს დაგვიწვავსო. ერთ-ერთი ასეთი მოწმე ისე შეუეიწროებიათ, რომ სახლი გაყიდა და წავიდა, დასძინა ქალბატონმა ლიამ. ამაზე ლოთი ქობალიამ გაკვირვებით იკითხა: "კი მაგრამ, ახლა ხომ აქ ვარ, ახლა მოვიდნენ. ერთი ადამიანი მაინც ხომ უნდა არსებობდეს, რომელიც იტყვის, რომ მე თქვენს შვილს დავლაპარაკებივარ, ან მასთან ახლო მანძილზე ვმდგარვარ."

"ქალბატონო ლია, - მიმართა დაზარალებულს ზვიად ძიძიგურმა - ოქტომბრის თვეში, ფოთში ბრძოლების დროს დაიღუპა ეროვნული გვარდიის მებრძოლი გიორგი ჯაფარიძე. იგი გარეგნულად ძალიან ჰგავდა თქვენს შვილს. მე მინდა იცოდეთ, ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების პოზიცია - ჩვენ ჭირისუფლები ვართ როგორც გიორგი ჯაფარიძის, ისე დათო ბოლქვაძის".

დასასრულ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა განაცხადა: "თქვენს მიერ გადატანილი ტრაგედიის გამო, სრული უფლება გაქვთ არ დაიჯეროთ ჩვენს მიერ ნათქვამი არც ერთი სიტყვა. მე მინდა გთხოვოთ, ჩემგან სახსოვრად მიიღოთ წიგნი, რომელშიც აღწერილია 1991 წლის გადატრიალების შემდეგ უდანაშაულო მხვერპლთა მკვლელობის ფაქტები და მოყვანილია მათი ნუსხა. ეს წიგნი მე არ შემიდგენია. მასში არ არის დავით ბოლქვაძის გვარი და, გთხოვთ, თავად დამატოთ იგი".

დაზარალებული რეზიდენტი

1 მაისის სხდომაზე დაიკითხა დაზარალებული რევაზ ჟვანია, რომელიც 1993 წლის სექტემბერში იქნა დაკავებული ზუგდიდში და ერთ საკანში იჯდა გია გულუასთან, ხოლო ამ უკანასკნელის გაპარებისას, ციხეზე თავდასხმელებმა იგი, იზოლატორის თანაშრომლებთან ერთად, ჩაკეტეს საკანში, რადგანაც მანქანაში გულუასთვის განკუთვნილი მხოლოდ ერთი ადგილი ჰქონდათ. ჟვანიას თქმით, გულუას გასათავისუფლებლად მოსული პირები მას რუსულად ელაპარაკებოდნენ.

რუსულად ლაპარაკობდა თავად დაზარალებულიც, რომელსაც თარჯიმანიც თან ახლდა, თუმცა თარჯიმნის ფუნქცია, რეალურად, მოსამართლემ და პროკურორმა იკისრეს.

მაიორ რევაზ ჟვანიას მეტად საინტერესო ბიოგრაფია აღმოაჩნდა: იგი მსახურობდა ყოფილი სსრკ-ს თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამსახურში - ჯერ გროზნოში, შემდეგ გუდაუთაში, მოგვიანებით კი, 1992 წლამდე, აფხაზეთის სსს-ს განსაკუთრებული დანიშნულების პოლკში დაზვერვის უფროსად, სადაც, მისი თქმით, ზემდგომი ხელმძღვანელობის ბრძანებით შეკიდა (ვინ იყო სინამდვილეში ეს "ზემდგომი ხელმძღვანელობა" გაურკვეველია), რეალურად კი ქართული მხარის დავალებებს ასრულებდა. მან გადასცა საქართველოს მთავრობას აფხაზური მხარის მიერ სოხუმის აღების ყველა გეგმა. 1992 წლის სექტემბრიდან, ხელმძღვანელობის დავალებით, იგი გადმოვიდა თბილისში და სამსახური დაიწყო ბატალიონ "თეირი არწივის" განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილების უფროსად. ამის გამგონე ლოთი ქობალიამ წამოიძახა კიდეც - "ეს კაცი შესამოწმებელიაო".

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ალადაშვილმა არ მისცა საშუალება ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივ დამცველს, ლია ბერეაშვილს, კითხვები დაესვა დაზარალებულისთვის და გამოაცხადა შესვენება. დამცველი იძულებული გახდა თან გაჰყოლოდა ჟვანიას და სასამართლოს შენობის წინ, ქუჩაში ჩამოერთმია მისთვის ჩვენება, რის შესახებაც ამცნო სასამართლო კოლეგიას სხდომის განახლების შემდეგ.

დაზარალებულმა ლამის დაზარალა გალუაშვილი

დაზარალებული მერაბ რაფავა, რომელიც 1992 წლის აპრილ-აგვისტოში ხელმძღვანელობდა ზუგდიდს შს სამართველოს, როგორც ჩანს, პროკურატურისთვის ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო, მაგრამ საბოლოოდ ჩინებული საკბილი აღმოჩნდა როგორც ადვოკატების, ისე განსასჯელებისთვის.

რაფავამ მეტად საინტერესო და თითქმის სენსაციური ამბებიც მოყვა. მაგალითად, როგორ დაურეკა მმეველების აყვანის შემდეგ პრეზიდენტს გროზნოში ჯემალ ქობალიამ და უყვირა - ჩვენ ხომ ამაზე არ ვიყავით მოლაპარაკებულნი. ლოგიკურად გაჩნდა კითხვა: თუ ჯემალ ქობალიას ჰქონდა კავშირი პრეზიდენტთან, რატომ აწარმოებდით მოლაპარაკებას ლოთი ქობალიასთანო. ამაზე რაფავამ უპასუხა - პრეზიდენტის რწმუნებული ლოთი იყოო. "პრეზიდენტს კი ჯემალი უყვიროდა, არა?..." - სიცილით შენიშნეს განსასჯელებმა.

მთავარი სენსაცია წინ გველოდა: ლოთი ქობალიამ მოახსენა სასამართლოს, რომ მერაბ რაფავაზე 1992 წელს გაცემული იყო დაჭერის სანქცია გენერალური პროკურორის მოადგილის კაბინეტში შეჭრისა და ცეცხლსასროლი იარაღით ოთახის დაცხრილვის ფაქტის გამო. პროკურორებმა ლალიაშვილმა და წერეთელმა ლამის ერთხმად იტვირთეს რაფავას ადვოკატობა - "ბალუაშვილი ამ დროს ოთახში არ იყოო".

"ამას რა მნიშვნელობა აქვს, სანქცია ხომ იყო გაცემული. მე კამტკიცებ, რომ რაფავასა და პროკურატურას შორის ადგილი აქვს გარიგებას" - განაცხადა ლოთი ქობალიამ.

ეს ეჭვი იმანაც განამტკიცა, რომ რაფავა ხშირად თავისსავე ნათქვამს ეწინააღმდეგებოდა და ბოლოს ისე გაიხლართა ამ ტყუილ-მართლის კორიანტელში, რომ თავად მოსამართლე და პროკურორები ლამობდნენ მის თავიდან მოცილებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: რაფავას მთელი ჩვენება აგებული იყო ერთ მთავარ ხაზზე - წარმოეჩინა შევარდნაძე და სამხედრო საბჭო, როგორც ქართველთა შორის შერიგებისა და თანხმობის მიღწევის ინიციატორი, ხოლო კანონიერი პრეზიდენტი - შულლისტაბილიზაციის სათავე. თავის ფანტაზიებში მას ისიც კი დასცდა, თითქოს შევარდნაძე თანახმა იყო, გამონაკლისის სახით, სამეგრელოს რეგიონში არჩევნების გზით გადაწყვეტილიყო გამგებლის პრობლემა და სულაც ეს არჩევნები განდევნილ უზენაეს საბჭოს დაენიშნა (?!), რაზეც დაუმორჩილებლობის კომიტეტი არ დათანხმებულა. ამ აბსურდულ განცხადებაზე ზვიად ძიძიგურმა მიუგო: "შევარდნაძეს რა ხანია ჩაფიქრებული აქვს საქართველოს დაშლა მხარეებად და ეს იდეაც სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. ასე რომ, სავსებით სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც უარი ეთქვა ამ წინადადებაზე".

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

Dissident - President - Martyr

მეხუთე თავის გაგრძელება

საქართველოს მეორე რესპუბლიკა

დაიწყო გარდამავალი პერიოდი - მოსაჩვენებელი სამშაოები სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის: ახალი კონსტიტუციის დამუშავება, სრულიად ახალი საარჩევნო სტრუქტურის შექმნა, რაც იმას მოასწავებდა, რომ კომუნისტური ერა სამუდამოდ დამთავრდა. საბჭოთა რეჟიმი სისხლის ღვრის გარეშე დაემხო. სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესი ნორმირებული იყო კანონით. 14 თვეში პარლამენტმა 140 კანონი შეცვალა. მიიღო ახალი კანონები, რომელთაგან ზოგიერთი - პრივატიზაციის, ფინანსების და პრესის თავისუფლების შესახებ - უცხოელი სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. გადაწყდა სუკის არქივის გახსნა და მისი აქტების გამოქვეყნება, მაგრამ ისინი უკვე რუსეთში აღმოჩნდა გაზიდული.

საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის ჯარებს არ სურდათ გასვლა. ეს საჯარისო შენაერთები თუმცა ოკუპანტებად ითვლებოდნენ, მაგრამ დროებით ხელშეუხებელნი რჩებოდნენ. მათთან ურთიერთობა საერთაშორისო დონეზე უნდა მოგვარებულიყო. უზენაესი საბჭოს სესიაზე განიხილეს და მიიღეს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი ობიექტების - ლენინის ინსტიტუტის (ამჟამად გორბაჩოვის ორგანიზაციას უწოდებენ) ხელმძღვანელად, ხოლო ელცინმა მისი პოსტი დაიკავა. საბჭოთა კავშირი აღდგა დსთ-ს სახით.

აგვისტოს ბოლოს ამერიკის სატელევიზიო არხით CNN-ის ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო ზვიად გამსახურდიასგან. ინტერესებდათ გამსახურდიას აზრი მოსკოვის პუტჩის შესახებ. "ეს არის გორბაჩოვის მიერ მოწყობილი სპექტაკლი". - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. შემდგომში იგივე არხის მაყურებლის წინაშე გამოვიდა გაბრაზებული ჯორჯ ბუში და გამსახურდიას ნოტაციების კითხვა დაუწყო: "ამ კაცმა უნდა ისწავლოს თავისი პოლიტიკური მოსაზრების ფორმულირება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დინების საწინააღმდეგოდ ცურავს." გამსახურდიამ მეტად ლაკონური პასუხი გასცა ამერიკის პრეზიდენტს: "დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები და ადამიანი ნადირთა ლეშს მიჰყვება". ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლა საქართველოს მეორე რესპუბლიკის დაშლის სიგნალი აღმოჩნდა.

შედგა ფარული შეთანხმება, რომლის შესახებ საკმაოდ გავლენიანი პიროვნებები - სესილ როდესი, სთიროუმ თალბოტი და ვ. რ. ბეშლოსი - წიგნში "უმაღლეს დონეზე" ("At the Highest Levels" ბოსტონი - ტორონტო - ლონდონი, 1993) ასე წერდნენ: "თბილისში ხალხის რჩეულმა, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის შვილია, გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯორჯ ბუშსა და გორბაჩოვს შორის ფარული შეთანხმება არსებობდა, რომლის მიხედვით, საბჭოეთის მხრიდან გარკვეულ დაბრკოლებებს საქმე აშკარად საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისკენ მიჰყავდა. სასაგიეროდ, ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მხარი დაუჭირა გორბაჩოვის წამოწყებას. მის მიერ კიევში წარმოთქმულ სიტყვაში აშკარა მუქარა გაისმა. დამოუკიდებლობის მოსურნე ვერც ერთი რესპუბლიკა (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) ვერ მიიღებდა ამერიკის მხარდაჭერას, თუ საკავშირო ხელშეკრულებას არ მოაწერდა ხელს.

1991 წლის აგვისტოში მოსკოვში დაიწყო პუტჩი, რომლის შედეგად განხორციელდა რიგების გადანაწილება. გორბაჩოვი გადავიდა მნიშვნელოვანი ობიექტის - ლენინის ინსტიტუტის (ამჟამად გორბაჩოვის ორგანიზაციას უწოდებენ) ხელმძღვანელად, ხოლო ელცინმა მისი პოსტი დაიკავა. საბჭოთა კავშირი აღდგა დსთ-ს სახით.

1991 წლის აგვისტოში, მოსკოვის პუტჩის დროს, გამსახურდიასთან ჩამოვიდა რუსეთის თავდაცვის კომიტეტის ჟურავლოვი. გენერალმა განაცხადა, რომ მთელ ქვეყანაში გამოაცხადებდა საგანგებო მდგომარეობას და ამ საბაბით მოითხოვა საქართველოს ეროვნული გვარდიის დაშლა. იგი დაჰპირდა ქართველ ხელისუფალთ, რომ თუ ისინი არ შეასრულებდნენ მის ინსტრუქციებს, მკაცრ ზომებს მიიღებდა საქართველოს მიმართ.

გამსახურდიას საკმაო გამოცდილება ჰქონდა და კარგად უწყოდა, რაც მსგავს მუქარას მოჰყვებოდა. ამის გათვალისწინებით, "ეროვნულ გვარდიას" სახელი შეეცვალა და შინაგან საქმეთა დაქვემდებარებაში გადავიდა. მაგრამ ეროვნული გვარდიის უწინდელმა მეთაურმა, რომელსაც პირადი მტრული დამოკიდებულება ჰქონდა შინაგან საქმეთა მინისტრთან, დაარღვია ეს დადგენილება. იმ პერიოდში გვარდია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და მხოლოდ 2000 კაცს ითვლიდა. თენგიზ კიტოვანმა თავის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარის ნაწილები ყაზარმებიდან გამოიყვანა და მთის რაიონებში გახიზნა. მოგვიანებით გვარდიელთა დიდმა ნაწილმა დატოვა ქალაქი გენერალი. მასთან დარჩა დაახლოებით 400 კაცი. როსლებთან ერთადაც კიტოვანი თბილისის მახლობლად დაბანაკდა.

შემდგომში თენგიზ სიგუამ, მინისტრთა საბჭოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, დაარწმუნა კიტოვანი, რომ თითქოს გამსახურდიამ ჟურავლოვის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა და ამიტომ მას პრეზიდენტად ველარ აღიქვამდა.

ფიცის გამტეხი გვარდიელების მეორე შეთაური იყო საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერი გიორგი ყარყარაშვილი. იგი ერთხანს მონაწილეობდა ეროვნული გვარდიის ფორმირების პროცესში, რაც ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლის შემდეგ დაწყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ დაბა წყნეთში, რესტორანში ქეიფის დროს, მას შემოაკვდა კაცი. ამის შემდეგ ყარყარაშვილი იძალებოდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეტერა პრეზიდენტს - ამას არავითარ შემთხვევაში არ მაპატიებსო. გუშანი ნამდვილად არ ღალატობდა. პრეზიდენტი არ აპირებდა მისთვის ეთქვა [illegible] პატიებას.

დაძაბული სიტუაცია დაახლოებით ორ კვირას გაგრძელდა. შემდეგ კი ისევე, როგორც ადრე, დაიწყო არახალხრავალი მიტინგები. ამასობაში ფორუმმა წინასწარ დადგენილი "არაფორმალური კონგრესი" შექმნა, თუმცა შესაბამისი არჩევნები არ ჩატარებულა. "კონგრესი" ცდილობდა, მიტინგების მეშვეობით მეპყრო ხალხის ყურადღება. ამ მიტინგების მიმართ გამსახურდიას დამთმობი პოლიტიკა ჰქონდა. მაგრამ 2 სექტემბერს რეგულარულმა სპეცნაწილებმა მოიტინგეები დაარბიეს. ადგილი ჰქონდა იარაღის გამოყენებას, გაისმა სროლის ხმა. ორი მანიფესტანტი დაიჭრა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა გამსახურდია ამერიკელ კონგრესმენებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის ცნობის თაობაზე. გამსახურდიას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა იმ მომენტში გარეთ. ამერიკელები აყენებდნენ შემდეგ პირობებს: სტაბილურობა და დემოკრატია.

შემაძრწუნებელი ინფორმაცია მომხდარის შესახებ ისეთი სახით გავრცელდა, თითქოს თავად გამსახურდია იყო ამ დაუნდობელი, უცერემონიო ქმედების ინიციატორი. მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან ამერიკელთათვის აშკარა გახდა, რომ საქართველო მათ მიერ წაყენებული მოთხოვნების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა.

ხახელვარგრეთის პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის დიქტატორული პოლიტიკისა და ოპოზიციის მიმართ რეპრესიული მეთოდების გამოყენების თაობაზე.

მალე გამოაშკარავდა, რომ მომხდარი ფაქტი სუფთა წყლის პროვოკაცია იყო. მაიორმა ლანჩავამ, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ლმობიერი ადამიანი, გამსახურდიას ბრძანების გარეშე გამოიყენა სპეცჯარები მიტინგის დასარბევად. მოგვიანებით ლანჩავა კიტოვანს მიეკედლა. ღალატისთვის შემდგომში გვარიანად დაჯილდოვდა - შევარდნაძის დაქვემდებარებაში მყოფი შინაგანი ჯარების კომენდანტი გახდა

გერმანულიდან თარგმნა თამარ იაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

No16 (in brief)

7 - 13 May, 1996

Molodinashvili Demands Security Guarantees

At the recent Court Sessions of Nugzar Molodinashvili's Case Hearing completely new trend became evident. The witnesses of Prosecution are trying to represent Eduard Shevardnadze as an initiator of all peaceful negotiations and attempts to make peace in the course of conflict with Zviad Gamsakhurdia in the period of 1992-93.

In relation with the above said the member of the Supreme Council, political prisoner made an official statement on the Court Session of April 3:

"This is my official statement: I am thoroughly familiarized with volume 50 of my Case and declare that it did not contain a single word concerning Shevardnadze and Gamsakhurdia meeting. If the volume now contains anything of the kind it means that the testimonies in the case are replaced - some pages are extracted and replaced with the changed ones. Under the conditions of the present regime such things do happen. I officially declare: though I am a veterinarian by profession, my specialization is microbiology and virology. I am well aware of heroism of such scientists as Pasteur, Kooky, Botkin and others who made the experiments on themselves to save the mankind.

I am making acute experiment on myself since February 1, 1996. The goal of this experiment to invent the vaccine against such dangerous phenomenon as Eduard Shevardnadze.

To cope with this I need a strong guarantee. I am dealing with a pathological person. I must state that I am physically completely healthy. So if in the nearest 10 year period any disaster, even if brick falls on my head one must look for Eduard Shevardnadze hiding behind the corner or a person sent by him. And I am not the only person in danger - in fact all my first kin and close relatives and all those I love are endangered. I am already infected and all contacts with me are dangerous.

After this statement Mr. Molodinashvili asked the interrogated witness only one question : "I would like to know if Eduard Shevardnadze ever asked you to help him to meet Gamsakhurdia".

The Judge who has lost his balance shouted: "Why are saying this, stop these offenses!". Molodinashvili answered: "I am saying this because I see that the fledgling is already fledged and became a dove. And I tell you Shevardnadze will never become a dove, never!"

The Defendants Turned their Backs to the Court

In the Session Hall of the Supreme Court the situation becomes progressively strained, the measures taken against the political prisoners became more severe. It becomes more and more evident, that some unseen hand, though easy to guess whose, is actively interfering into the Court investigation and even shows an inadequate response to each principal issue set forth. This situation makes it clear that in Georgia the Court authorities factually do not exist and the Court is an instrument to settle scores with political opponents.

In the cells of the Supreme Court is reigning an unbelievable anti-sanitary. For this reason the defendants Loti Kobalia, Zviad Dzidziguri and Nugzar Molodinashvili were having their dinner a talk with their lawyers in the Court Hall. During the break of May 1 Court Session they were unexpectedly taken to the cells located in the cellar of the building. these cells are extremely dirty and do not have even tables to sit at. The defendants refused to have dinner is such conditions and demanded to respect their human dignity. They also refused to participate in the Court Investigation and offered the Judge to consider this issue with them and their lawyers.

As a token of protest the defendants turned their backs to the Court Board.

The Court Stands between the defendants and their Lawyers

On the opinion of Nugzar Molodinashvili's public defender Mrs. Lia Benashvili, this statement is aimed at maximal reduction of contacts between the defendants and lawyers. "We are not allowed to meet the defendants in the isolation detention cells. Only here, during the one hour break we have the opportunity to discuss the principles of defense, and now even this becomes limited to us", appealed she to the Court.

The Defendants Ask the Judge to Defend the Rights of the Court Authorities

May 2 Session Mr. Zviad Dzidziguri and Jambul Bokuchava mad an official statement: "When the yesterday's Session was over, we were taken to the Republican Prison Hospital, where we were not admitted and hence we were taken directly to #1 Investigator detention Cell. So our personal things, documents to be taken to the Court Session were left in the Republican Prison Hospital. In #1 Isolation detention Cell we were placed into the cell of general regime which does not have any conditions to work during the course of Court Hearing.

"One more Highly Biased Hearing will be held"

As it is known, the investigation of the Case of attempt against Shevardnadze's life made on August 29, 1995 is over. The political prisoners were presented the indictment and some of them even were allowed to get familiar with the materials of the Case.

We have spoken to Mrs. Ketevan Bekauri, the lawyer of Mr. Giorgi Oniashvili, who is one of the defendants in this case. Her client like other participants of the case is charged with accusation of High Treason, attempt on the life of the state and public figure with the aim to weaken the state authorities and creation of unlawful armed formation and participation in it

As Mrs. Bekauri informed us, the 9 month imprisonment term of her client envisaged by the Constitution of Georgia expires in the end of May and it seems that the end of the investigation is to a significant degree stipulated by this fact, though he investigation failed to find any concrete proves against the defendants.

"The Case does not contain any proves, all charges are of general nature. I think, the Supreme Court will conduct one more biased hearing." - stated Mrs. K. Bekauri.

The case consists of three volumes and so far as we are concerned it does not contain any hints as to specify who was that statesman on the life of whom had been made an attempt, of which the "members of the armed organization" Mr. Gelashvili, Oniashvili, Mchedlishvili, Ratiani, Dvali and others are accused.

The State of the Political Prisoners in the Jail is Critical

On December 2, 1993 the great majority of condemned from "Kvareli Case" were moved to Ksani Colony with Strict Regime which is known for its unbearable life conditions and most unfavorable general atmosphere. The then head of the Colony Mr. Chachua placed the condemned political prisoners to the lockup type of cells immediately on their arrival. Later to please the authorities he decided to move the undesirable political opponents to the jail under the pretense of attempt "to dig a tunnel and escape from the colony"..

On February 11, 1994 the condemned political prisoners who were serving their terms in Ksani Colony were "trialed" for the second time by judge Kervalidze who had sentenced them to 1-3 years of imprisonment in jail. Irrespective of persistent demands of the condemned, the hearing traditionally proceeded without the lawyers. On February 21 the "Kvareli boys" were moved to Tbilisi prison.

One of the prisoners who is being kept in jail is writing:" The head of the zone Mr. Chachua and his deputies Alexandre and Avtandil Ekvsshakrashvilies demanded from the prisoners 150 000 Russian rubles for them not to be moved to the jail... Today, #11 closed prison is the breeding-ground for TB and other diseases, and irrespective of weak efforts of the administration the prisoners are actually starving... From December 1993 to May 1994 Ksani Colony with strict Regime moved more than 150 prisoners to the jail. Reduction of the term of service following the cassation order costs from $300 to $500..."

Presently the following political prisoners - participants of "Kvareli Case" are serving their terms in prison: Mr. Leri Donadze, Mr. Gela Gachechiladze, Mr. Emzar Kobaidze, and Mr. David Loladze. They will have to stay 10 more months under the unbearable conditions of the jail. As it became known to us, the health state of Mr. Gela Gachechiladze and Mr. Emzar Kobaidze is very poor. Mr. Gachechiladze has marked symptoms of tuberculosis which developed as a result of protest hunger-strikes and regular beating taken from the prison staff members. Mr. Emzar Kobaidze had pleurisy in May, 1995; as a result his right lung does not function, he developed liver and gall bladder disease.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბჭონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia